## ბათუმის «დინამოს» სტადიონი
## Батумский СТАДИОН «ДИНАМО»

6 აპრილი 1989 წ.
апреля г.

# ფეხბურთი
# ФУТБОЛ

### საბჭოთა კავშირის 52-ე ჩემპიონატი
### პირველი ლიგა
### 52-ой чемпионат СССР
### Первая лига

## „დინამო“ — «ფაკელი»
(ბათუმი) (ვორონეჟი)

## „Динамо“ — „Факел“
(Батуми) (Воронеж)

დასაწყისი 18 საათსა და 30 წთ-ზე.
Начало в 18 часов 30 мин.

## ვორონეჟის „ფაკელი"

რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდი ვორონეჟის „ტრუდი" 1953 წელს ჩამოყალიბდა, 1977 წლიდან „ფაკელის" სახელით გამოდის და საკმაოდ წარმატებით თამაშობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში.

ვორონეჟელმა ფეხბურთელებმა ორი სეზონი 1961, 1985 წლები უმაღლეს ლიგაშიც ითამაშეს. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, გასული საფეხბურთო სეზონი „ფაკელმა" კარგად ითამაშა და მეორე ლიგიდან პირველ ლიგაში გადაინაცვლა.

ვორონეჟელმა ფეხბურთელებმა 1987 წელს სუსტად ითამაშეს სეზონი და დატოვეს პირველი ლიგა, 1988 წელში მდგომარეობა გამოასწორეს, მთელი სეზონი კარგად ითამაშეს და ისევ დაუბრუნდნენ პირველ ლიგას.

ვორონეჟის „ფაკელი" პირველ ლიგაში 1979 წლიდან გამოდის და 308 შეხვედრა აქვთ ჩატარებული (133 მოგება, 78 ფრე და 98 წაგება) 380:290 ბურთების შეფარდება. ამ ლიგაში ვორონეჟის „ფაკელი" 1984 წელს პირველ ადგილზე გამოვიდა: ასეთია ჩვენი სტუმრების მოკლე სავიზიტო ბარათი.

ბათუმის „დინამოსა" და ვორონეჟის „ფაკელის" ფეხბურთელთა კოლექტივები 1970 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს. სულ ცამეტი მატჩი აქვთ ნათამაშევი.

ექვსჯერ გაიმარჯვეს ვორონეჟელებმა, შვიდჯერ ბათუმელმა დინამოელებმა, ბურთების სხვაობა 15:14, სტუმრების სასარგებლოდაა.

დღევანდელი მატჩი რიგით მეთოთხმეტეა, შეძლებენ თუ არა დინამოელები ვორონეჟელების დამარცხებას, ამას დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს.

ვუსურვოთ ჩვენს ფეხბურთელებს რომ წარმატებით ითამაშონ 1989 წლის საფეხბურთო სეზონი

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

1. „ტორპედო“ ქუთაისი — „ნისტრუ“ კიშინიოვი
2. აბოვიანის „კოტაიკი“ — „ტავრია“ სიმფეროპოლი
3. „მეტალურგი“ ზაპოროჟიე – „დაუგავა“ რიგა.
4. სკა დონის როსტოვი — სკა „კარპატი“ ლვოვი
5. „სპარტაკი“ ორჯონიკიძე — ცსკა მოსკოვი
6. „ნეფთჩი“ ბაქო — „კუზბასი“ კემეროვო
7. „დინამო“ ბათუმი — „ფაკელი“ ვორონეჟი
8. „ყუბანი“ კრასნოდარი — „როსტსელმაში“ დონის როსტოვი.
9. „პახტაკორი“ ტაშკენტი — „გურია“ ლანჩხუთი
10. „კაირატი“ ალმა-ათა — „დინამო“ სტავროპოლი.

## გუნდების შემადგენლობა

### „დინამო" (ბათუმი)

1. ასლან ბალაძე
2. ამირან გოგიტიძე
3. ტარიელ დურდიაძე
4. თამაზი კიკლიაშვილი
5. გოჩა ჯოხაძე
6. მალხაზ მახარაძე
7. ნუგზარ კაკილაშვილი
8. ვაჟა ჟვანია
9. ვასილ მიქაშავიძე
10. მელორ ბიგვავა
11. თამაზ უგრეხელიძე
12. გიორგი მჭედლიშვილი
13. მიხეილ მაისურაძე
14. გოჩა ჩიქოვანი
15. გია ზედანია
16. დავით კუცია

გუნდის უფროსი —
**თ. ს. ცინარიძე**
უფროსი მწვრთნელი
სპორტის ოსტატი
**შ. შ. ჭეიშვილი**
მწვრთნელები —
**თ. მ. ქორიძე**
**ვ. პ. მაჩხელიანი**

### „ფაკელი" (ვორონეჟი)

1. ო. კარავაევი
2. ვ. სოსულინი
3. ო. ალექსეენკო
4. ვ. ვაშჩენკო
5. ო. მხითარიანი
6. ე. ზუბარევი
7. ო. მოროზოვი
8. ა. მინაევი
9. ვ. კორშინი
10. ვ. საველიევი
11. ა. მოროზოვი
12. ა. კარპენკო
13. ო. შერბაკოვი
14. ვ. პიმუშინი
15. ი. კოლესნიკოვი
16. მ. პოდკოპაევი
17. ი. პოპოვი
18. ი. ჟუკოვი

უფრ. მწვრთნელი
**ვ. პოლოსინი**

აპსგ. 1989 წ. № 762.